თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-214243-26
14 / 08 / 2026

მოქალაქე მიხაილო მაკსიმიუკის
წარმომადგენელს გია ბართიას

ბატონო გია,

თქვენი მიმდინარე წლის 12 აგვისტოს №02-13-214243-26 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, სოფელი აგარაკი, იულია ფაილოძის III ჩიხი, №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №72.16.27.088) დაგეგმილ ღობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოებს და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს ფიქსირდება მკვებავი **D=32 მმ-იანი** და შპს ,,თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი **D=75 მმ-იანი** დაბალი წნევის მიწისქვეშა გაზსადენები (იხ.დანართი: სქემატური ნახაზი).

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ ღობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ღობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენს მიერ წარმოდგენილი და შპს „თბილისი ენერჯი“-ს მიერ შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად (შეზღუდვა მიწისქვეშა **D=75 მმ-იანი** დაბალი წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელ ღობემდე **1 (ერთი)** მეტრი);
- მიწის ნაკვეთის სიახლოვეს არსებული მიწისქვეშა გაზსადენებთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 ფურცელი;
დამოწმებული გენგეგმა - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

გეგმა

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **72.16.27.088**
განცხადების ნომერი: **892018649728**
მომზადების თარიღი: **24/08/2018**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **549 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N
მასშტაბი 1:300

05/25 მშენებარე ნაგებობა
05/25 შენობა/ნაგებობა
ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ხაზობრივი ნაგებობა
ვალდებულება

შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-13-214243-26
13 / 08 2026 წ.

473480 473500 473520 473540

4620780

1:200

N W E S

D=75 PE

72.16.27.088

პირობითი აღნიშვნები

შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი

შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი

მიწის ნაკვეთი

1 მეტრიანი შეზღუდვის ზონა

თბილისი ენერჯი TBILISI ENERGY

© Op

4620760

473480 473500 473520 473540